სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

08182761664718

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მიღებული რწმუნებულების/მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N180057368

რეგისტრაციის თარიღი

22.01.2018 წ

ნოტარიუსი: მანანა ჭიჭინაძე
მისამართი: ქ.თბილისი, ო.ხიზანიშვილის ქუჩა # 15
ტელეფონი: 2689886

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორიათას თვრამეტი წლის ოცდაორ იანვარს, მე, ნოტარიუსს მანანა ჭიჭინაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ო. ხიზანიშვილის ქუჩა №15, პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით დამიკავშირდა **კახაბერ ოდიშელიძე,** რომელმაც განაცხადა, რომ ამჟამად იმყოფება საზღვარგარეთ, **კერძოდ: უკრაინაში, ქალაქი ოდესა** და ასევე განაცხადა რომ იგი არის **შპს "ტავრია ემ TAVRIA M"-ს დირექტორი,** რაც დგინდება ამონაწერით სამეწარმეო რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B15222214, 13/11/2015, ს/კ: 429320870, იუიდიული მისამართი: დუშეთი, ს. დავათი) და სურს, როგორც **შპს "ტავრია ემ TAVRIA M"-ს დირექტორმა,** ნოტარიუსის წინაშე ონლაინ რეჟიმში გააკეთოს მინდობილობა და დაადასტუროს იგი სანოტარო წესით.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი საქართველოს პასპორტის მეშვეობით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **კახაბერ ოდიშელიძემ** (დაბადებული 02.09.1976წ. თბილისში, პირადი №01021000314, ბარათი **№12ID55989** გაც. 17.04.2013წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ, მის: დუშეთი, ს. დავათი) მომმართა.

სანოტარო მოქმედების შესრულებას ესწრებოდნენ: **ოთარ გელიაშვილი** (დაბ: 25.06.1961წ. დუშეთში, პირადი №01003007285, ბარათი №11IB50857 გაც. 27.01.2012წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ, მის: დუშეთი, ს. დავათი), როგორც **კახაბერ ოდიშელიძის** ნდობით აღჭურვილი პირი (ხელმომწერი პირი) და **პაატა გორგაძე** (დაბ: 24.04.1970წ. თბილისში, პირადი №01004001154, ბარათი №13IG30838 გაც. 08.09.2014წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ, მის:თბილისი, ავჭალის ქ. №5, ბ.13), როგორც მოწმე.

ვადასტურებ, რომ სანოტარო მოქმედების მონაწილეთა ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნდა. მე, ნოტარიუსმა, სანოტარო მოქმედების მონაწილეებს განვუმარტე სანოტარო მოქმედების შინაარსი და მისი შესრულების სამართლებრივი შედეგები. ასევე, სანოტარო აქტის მონაწილეები (მოწმის ჩათვლით) გაფრთხილებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომების შესახებ (მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებების არარსებობის და სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ), რის შემდგომაც **კახაბერ ოდიშელიძემ** ხელმომწერისა და მოწმის თანდასწრებით მიკარნახა შემდეგი შინაარსის მინდობილობა:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თვრამეტი წლის ოცდაორ იანვარს, **კახაბერ ოდიშელიძე**, პირადი №01021000314, როგორც **შპს "ტავრია ემ TAVRIA M"-ს** (ს/კ 429320870) **დირექტორი**, რომელიც შემდეგში მოხსენიებულია, როგორც „მიმნდობი", **ვახტანგ ოდიშელიძეს** (დაბადებული 23.12.1972წ. თბილისში, პირადი №01021003994) შემდგომში **"მინდობილი პირი"; ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:**

ვახტანგ ოდიშელიძე უფლებამოსილია წარმოადგინოს **შპს "ტავრია ემ TAVRIA M"** (ს/კ 429320870) **მესამე პირებთან ურთიერთობაში,** აწარმოოს უძრავი ქონების – ***შესყიდვის, დაკანონების, ლეგალიზაციის და რეგისტრაციის საკითხები.*** ამასთან დაკავშირებით იყოს ჩემი, როგორც **შპს "ტავრია ემ TAVRIA M"-ს** (ს/კ 429320870) **დირექტორის** წარმომადგენელი სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებში, საჯარო სამართლისა და კერძო სამართლის იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის: სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში; ადგილობრივი მმართველობისა და თვითმართველობის ორგანოებში, მერიაში, საკრებულოში, საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, სანოტარო ბიუროში და სხვა ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში. შესაბამის ორგანოებში აწარმოოს ნებისმიერი საქმიანობა; წარადგინოს, გამოითხოვოს და ხელზე მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი; მოახდინოს ნაკვეთის აზომვა და აზომვითი ნახაზის აღება (ელექტრონული ვერსიის ჩათვლით), შემთხვევაში შეიტანოს კორექტირება და ცვლილებები სარეგისტრაციო დოკუმენტებში; მოახდინოს ნაკვეთის გაერთიანება, დაარეგისტრიროს უძრავი ქონება **შპს "ტავრია ემ TAVRIA M"-ს** სახელზე; ხელი მოაწეროს შესაბამის დოკუმენტებს, გადაიხადოს გადასახადები და შეასრულოს ყველა ფორმალობა და მოქმედება, რაც საჭირო იქნება ამ მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილებების შესასრულებლად.

მინდობილობა გაცემულია სამი წლის ვადით.

წინამდებარე მინდობილობის ტექსტი ჩავიწერე მე, ნოტარიუსმა მანანა ჭიჭინაძემ, რომელიც პირდაპირი კომუნიკაციის რეჟიმში წავუკითხე მიმნდობს. მიმნდობმა დამიდასტურა, რომ მინდობილობა სრულად შეესაბამება მის ნებას და რომ მინდობილობის შედგენისას იგი არ იმყოფება რაიმე სახის ფიზიკური ან სხვა სახის ზეწოლის ქვეშ და რომ მის ნაცვლად მინდობილობის ტექსტზე ხელის მოწერის უფლებას ანდობს **ოთარ გელიაშვილს.**

მინდობილობა შედგენილია 4 /ოთხი/ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს მანანა ჭიჭინაძის სანოტარო არქივში და თან ერთვის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B15222214, 13/11/2015, ს/კ: 429320870, ხოლო დანარჩენი ეგზემპლიარი გადაეცა მინდობილ პირს.

გადახდილია საზღაური: თანახმად, საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წ. დადგენილება №507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადები", 32-ე მუხლის შესაბამისად - 50.00 ლარი და სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 39–ე მუხლის პირველი პუნქტისა 2.00 ლარი, სულ გადახდილია: 52.00 (ორმოცდათორმეტი) ლარი.

ხელმოწერები:

შპს "ტავრია ემ TAVRIA M"-ს (ს/კ 429320870) დირექტორის – კახებერ ოდიშელიძის სახელით ხელმომწერი - ოთარ გელიაშვილი

_____

მოწმე:
პაატა გორგაძე _____

ნოტარიუსი მანანა ჭიჭინაძე